№2584/06 20 ივლისი 2023 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ავერსის კლინიკა“-ს (ს/კ 212002580) გენერალური დირექტორი დიმიტრი ჯორბენაძე ანიჭებს უფლებამოსილებას ამავე დაწესებულების იურისტს ლუბა აბაშიძეს (პირადი №01017013356) მასზედ, რომ მან განახორციელოს, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, თბილისის მერიაში, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, საარქივო დაწესებულებებში, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში, საქართველოს ნებისმიერ მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციულ ორგანოში, ყველა სახის ქმედება, რაც დაკავშირებულია შპს “ავერსის კლინიკა”-ს საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე მიმდინარე/განსახორციელებელ სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებთან, კერძოდ, ხელი მოაწეროს და წარადგინოს შესაბამისი განაცხადები, განცხადებები, ცნობები, დოკუმენტები, მიიღოს ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, მიიღოს ნებართვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გამოითხოვოს ყველა სახის საჭირო დოკუმენტაცია, განახორციელოს შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღება, წარადგინოს ნებისმიერი ფორმით განაცხადი სარეკლამო აბრის/რეკლამის განთავსების მოთხოვნაზე, გადაიხადოს აღნიშნული ქმედების განხორციელებისთვის საჭირო მოსაკრებელი, მოაწეროს ხელი ყველა სახის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება.

მინდობილობა ძალაშია 1 (ერთი) წლის ვადით.

გენერალური დირექტორი დიმიტრი ჯორბენაძე

LLC Aversi Clinic

Digitally signed by LLC Aversi Clinic
Date: 2023.07.27 11:41:39 +04'00'